3. სანეევი აქაც პირველია

მსოფლიოს უძლიერეს სამხტომელებთან ორთაბრძოლა არც ისე იოლი საქმე იყო, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვიქტორ სანეევმა არა მარტო მოუგო ყველა მეტოქეს და ოქროს მედალი მოიხვეჭა, არამედ მსოფლიოს ახალი რეკორდის მფლობელიც გახდა. და აი, ვ. სანეევი აღიარებული იქნა 1968 წლის სსრ კავშირის № 1 სპორტსმენად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СПОРТ

№ 253 (3737)

28 დეკემბერი. შაბათი.

1968 წელი

ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი სამხტომში, სოხუმის დინამოელი ვ. სანეევი აღიარებულია 1968 წლის საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენად. ეს გამოარკვია სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის ტრადიციულმა საახალწლო გამოკითხვამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა.

ათეულში მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს: მძლეოსანმა ი. ლუსისმა (რიგა), მოკრივე ბ. ლაგუტინმა (მოსკოვი), ძალოსანმა ვ. კურენცოვმა (მოსკოვის ოლქი), ფიგურული ციგურაობის ოსტატებმა ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვამ, მოჭიდავე ა. მედვედმა (მინსკი), თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელმა ვ. ბელოუსოვამ (ლენინგრადის ოლქი), ჰოკეისტმა ა. ფირსოვამ (მოსკოვი), მოჭადრაკე ბ. სპასკიმ (მოსკოვის ოლქი) და ძალოსანმა ლ. ჟაბოტინსკიმ (კიევი).

მიხეილ გავა — მესამე

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს მფრინავ მოთხილამურეთა ახპარეზობა, რომელსაც სამ ტრამპლინზე გამართულ შეჯიბრებათა ჯამში უძლიერესებიც უნდა დაესახელებინა. როგორც ცნობილია, პირველი ამგვარი ტურნირი კავგოლოვოში მოეწყო. მაშინ დაწინაურდნენ ლენინგრადელი ა. უეგლანოვი, გორკელები გ. ნაპალკოვი და ვ. შჩერბაკოვი, ბაკურიანელი მ. გავა.

მეორე ტური გორკში მოეწყო. ლიდერებმა პოზიციები არც იქ დათმეს. შეჯიბრება ნაპალკოვმა მოიგო, მაგრამ ორი ეტაპის ჯამში იგი მაინც II ადგილზე დარჩა, ვინაიდან უეგლანოვმა შეძლო ლიდერობა შეენარჩუნებინა.

და აი, მოსკოვში ლენინის გორაკზე გამართულმა დასკვნითმა ეტაპმა ყველაფერი გაარკვია. ლიდერები — უეგლანოვი და ნაპალკოვი დედაქალაქში წარუმატებლად გამოვიდნენ და საბოლოოდ საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ. სამი ტრამპლინის ჯამში უძლიერესის სახელი 22 წლის ოსტატმა შჩერბაკოვმა დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ივანიკოვი (მოსკოვი). გამოცდები კარგად ჩაბარა ბაკურიანელმა ოსტატმა გავამ, რომელიც სამივე შეჯიბრებაში სტაბილურად გამოვიდა და საბოლოოდ III ადგილი დაისაკუთრა. ეს ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი წარმატებაა.

სსრ კავშირის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ ამ შეჯიბრებათა შედეგების საფუძველზე დაკომპლექტა ქვეყნის ნაკრები, რომელიც 4 ტრამპლინის საახალწლო საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ᲥᲮᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲥᲘ

● **კოსტრომა**, 25 დეკემბერი. ერთბაშად 3 საკავშირო რეკორდის მფლობელი გახდა აქაური ტექნიკუმის სტუდენტი, საშუალო წონის ძალოსანი ნ. ბელოვი. მან აჭიმა 138, აიტაცა 125 კგ და სამჭიდში აჩვენა 442,5 კგ.

● *ორჯონიკიძე, 25 დეკემბერი. ძალოსანთა აქ გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში იუნიორთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 19 წლის ლ. კარსანოვმა. გამოდიოდა რა მსუბუქ წონაში, მან აკრა 150,5 კგ.*

● **კანბერა, 26 დეკემბერი.** დევისის თასზე ახლანდელი გათამაშების ფინალურ მატჩში ერომანეთს შეხვდნენ აშშ-სა და ავსტრალიის ჩოგბურთელთა გუნდები. ჯერჯერობით ანგარიშია 2:0 ამერიკელთა სასარგებლოდ. სტუმრების მეორე ჩოგანმა კ. გრებნერმა დაამარცხა მასპინძელთა ლიდერი ბ. ბოურეი — 8:10, 6:4, 8:6, 3:6, 6:1. შეხვედრის მოგებას ვრებნერმა 3 საათი და 10 წუთი მოანდომა. აშშ-ს ჩემპიონმა ა. ეშმა მოუგო ავსტრალიელ რ. რაფელსს — 6:8, 7:5, 6:3, 6:3. ახლა ამერიკელებს მხოლოდ ერთი ქულა სჭირდებათ, რომ მეოცედ მოიპოვონ „ვერცხლის სასალათე“.

● *ბრონინგენი, 26 დეკემბერი. ევროპის იუნიორ მოჭადრაკეთა ტურნირზე მოგებით ბიდო სტარტი 17 წლის ერევნელმა მოსწავლემ რ. ვაგანიანმა. II ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა შვეიცარიელ შაუფელბერგერთან და ახლა ქულანახევრით შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერია.*

● *ვინიპეგი, 26 დეკემბერი. დასავლეთ კანადის მოყვარულ ჰოკეისტთა ნაკრებმა ამხანაგური მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 6:2.*



◆ **კანბერა**, 27 დეკემბერი. აშშ-ს ჩოგბურთელებმა მეოცე გამარჯვება იზეიმეს დევისის თასის გათამაშებაში, რომელიც მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ პირველობად ითვლება. ფინალური მატჩის მეორე დღეს ამერიკელთა წყვილმა (ს. სმითი და ბ. ლუტეი) მოუგო ავსტრალიელთა დუეტს (ჯ. ალექსანდერს და რ. რაფელსს) — 6:4, 6:2, 6:4, 6:2. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ 5 წლის მანძილზე დევისის თასი „მწვანე კონტინენტის“ საკუთრება იყო.

◆ **დავოსი**, 27 დეკემბერი. აქ ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა დაამარცხეს შვეიცარიის ეროვნული ნაკრები — 6:1. ეს იყო ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენების პირველი შეხვედრა შპენგლერის თასზე. ამ ტროფეის სტუმრები 1965-1966 წლებში ფლობდნენ.

◆ **ჩიკაგო, 27 დეკემბერი.** წლეულს დამყარებულ მოცურავეთა 30 მსოფლიო რეკორდიდან, რომლებიც ამას წინათ დაამტკიცა ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციამ, 2 ჩვენს სპორტსმენებს ეკუთვნით. ესაა მოსკოველი ვ. პანკინის ნაჩვენები შედეგი — 1.06,2 (100 მეტრზე ბრასით ცურვაში) და ლენინგრადელ ვ. კოსინსკის მიღწევა 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში — 2.27,4.

◆ *ფიუსენი, 27 დეკემბერი. გამარჯვებით დაიწყეს ჩვენმა იუნიორმა ჰოკეისტებმა ევროპის ჩემპიონატი. პირველ მატჩში მათ ანგარიშით 10:2 დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები. ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოუგო პოლონელებს — 14:0.*

◆ **ბონი**, 27 დეკემბერი. აქ სტუმრად მყოფმა მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ითამაშეს „კიკერსოფენ-ბასის“ გუნდთან. შეხვედრის ანგარიშია — 1:1.

◆ **ბრონინგენი**, 27 დეკემბერი. ჰოლანდიის ამ ქალაქში გამართულ იუნიორ მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირის მესამე ტურში ერევნელმა რ. ვაგანიანმა დაამარცხა ლიხტვრინგი (ჰოლანდია). ახლა მას 2,5 ქულა აქვს და ანდერსონთან (შვეცია), მედერთან (გფრ) და უემბოთან (ინგლისი) ერთად ლიდერობს შეჯიბრებაში.

თბილისის „ბურევესტნიკისა“ და რიგის არმიელთა შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი - თავდამსხმელი იყო მახპინძელთა გუნდის წევრი ლომაძე.

• • •

სურათზე: ლომაძე იერიშის დროს.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

(ამ შეხვედრის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

სპეციალური მრასით

ბაკურიანი, 27 დეკემბერი (ტელეფონით). დღეს აქ დაიწყო სათხილამურო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი „ლელოს“ პრიზის XII გათამაშება სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა კოლექტივებისთვის. სამწუხაროდ, სრული გუნდებით მხოლოდ „ბურევესტნიკი“, „განთიადი“ და „კოლმეურნე“ გამოვიდნენ, „დინამო“ და არმიელთა სპორტული კლუბი კი რამდენიმე სპორტსმენის გამოყვანას დასჯერდნენ. რის გამოც ტურნირში მხოლოდ 72 სპორტსმენი ჩაება.

მონაწილეთა სიმცირე განსაკუთრებით ქალთა შეჯიბრებაში იგრძნობა. გიგანტური სლალომის ტრასაზე, მაგალითად, 5 სპორტსმენი ასპარეზობდა, რომელთაგან ყველას ნ. ომიაძემ („განთიადი“) აჯობა. მან ტრასის გავლას მოანდომა 2 წუთი და 6 წამი, რაც 1,1 წამით სჯობს მეორე პრიზიორის ნ. ფილიანის („ბურევესტნიკი“) მაჩვენებელს. რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონის სპორტის ოსტატ ლ. გოგოლაძის („კოლმეურნე“) შედეგი 2.07,9.

გიგანტურ სლალომში პირველობისთვის 15 ვაჟი იბრძოდა. მოთხილამურეები სპეციალურ ვარჯიშს გვიან შეუდგნენ, მაგრამ ზოგიერთი მაინც დამაკმაყოფილებლად გამოვიდა. საქართველოს ჩემპიონმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ოსებ ნასყიდაშვილმა („ბურევესტნიკი“) მთელი ტრასა გაბედულად გაიარა და უახლოეს მეტოქეს გ. ჯიჩოევს („დინამო“) 4,1 წამი მოუგო. სამთო სახეობებში ასეთი სხვაობა სოლიდურ უპირატესობაზე მეტყველებს. სპორტის ოსტატ ნასყიდაშვილის შედეგია 1.45,8. თავის მხრივ, ჯიჩოევმა 0,3 წამით აჯობა სპორტის ოსტატ ბ. კახიანს („ბურევესტნიკი“) — 1.50,2.

ტურნირის პირველ დღეს ყველაზე ძნელი ბრძოლა მაინც მორბენლებს ჰქონდათ. როგორც ცნობილია, თებერვალში ბაკურიანში განზრახულია რბენაში საერთაშორისო ტურნირის გამართვა. ამიტომ სპეციალისტებმა ახალი, მეტად ძნელი სპეციალური ტრასები უკვე მოამზადეს, მის პირველ გამომცდელად კი სწორედ „ლელოს“ პრიზისთვის მებრძოლი ვაჟები მოგვევლინენ.

თუ გიგანტურ სლალომში ერთგვარი უპირატესობა „ბურევესტნიკის“ მხარეს იყო, რბენაში „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა ისახელეს თავი. გამარჯვებისთვის ბრძოლა შუა დისტანციამდე ძირითადად რესპუბლიკის ჩემპიონს ზ. გულბანს, მის თანაგუნდელ რ. მაკიევსა და ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორეკურსელ იაგორ ნასყიდაშვილს შორის მიმდინარეობდა. შემდეგ „კოლმეურნის“ მოთხილამურეები დაწინაურდნენ და ნასყიდაშვილი აიძულეს III ადგილს დასჯერებოდა — 1:27.14. 15 კილომეტრი ყველაზე სწრაფად (1:22.55) გულბანმა გაირბინა. ეს შედეგი 1,01 წამით უკეთესია მაკიევისაზე.

შეჯიბრება გრძელდება. დღეს უძლიერესებს გამოავლენს ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრება, ხვალ კი მოეწყობა სპეციალური სლალომი, 5 (ქალები) და 10 კილომეტრზე (ვაჟები) რბენა. შემდეგ შეჯამდება ტურნირის საბოლოო შედეგებიც.

სპორტსაზოგადოებათა კონფერენციებზე

ნაკლიც ამხილეს

— საქართველოს „სპარტაკის“ კოლექტივებმა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დასმარებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. ამ საზოგადოების 3 საოლქო, 10 საქალაქო და 53 რაისაბჭო 1459 კოლექტივსა და 177 ათასზე მეტ ფიზკულტურელს აერთიანებს, რაც 39 ათასით აღემატება ორი წლის წინანდელ მაჩვენებელს. — ასე დაიწყო საანგარიშო მოხსენება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. კორინთელმა საზოგადოების მორიგ V კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 53-დან 46 რაიონული საბჭო საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს. მათი უმეტესობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კარგად უძღვებიან მოვალეობას. ეს დაადასტურა ანგარიშგება-არჩევნებმა. არადამაკმაყოფილებლად კი მხოლოდ კოლექტივების 1 პროცენტის საქმიანობა შეფასდა.

ითქვა, რომ სპორტულ, მასობრივ-გამაჯანსაღებელ და ფიზკულტურულ ღონისძიებებში ჩაბმულთა რიცხვმაც იმატა. თუ წინა კონფერენციისთვის „სპარტაკის“ მომსახურებაში შემავალი საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 50,7 პროცენტი იყო ჩაბმული ფიზკულტურულ საქმიანობაში, ახლა ეს ციფრი 61,3 პროცენტამდე ამაღლდა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ შიდასაკოლექტივო, სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირები უფრო ორგანიზებულად ტარდება, მნიშვნელოვნად იმატა სპორტში მომეცადინე ქალთა რიცხვმა, ამაღლდა საწარმოო ტანვარჯიშის როლი.

ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა მიზიდვისთვის განსაკუთრებით კარგად იმუშავეს აჭარისა და აფხაზეთის საოლქო, ქუთაისის, გორის, ფოთის, ჭიათურის საქალაქო, ზესტაფონის, მახარაძის, თელავისა და თერჯოლის რაისაბჭოებმა. ქუთაისში, მაგალითად, ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა 51,3 პროცენტი, მახარაძის რაიონში—50,7, ზესტაფონის რაიონში — 49,8 პროცენტი.

„სპარტაკი“ ვადამდე და გადაჭარბებით ანაღდებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ყოველწლიურ გეგმა-ვალდებულებებს. ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებსაც, რომლებიც რეგულარულად აწყობენ დარგობრივ სპარტაკიადებსა და სხვა ღონისძიებებს.

მომხსენებელმა მოწონავე პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის დააასახელა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის, ავიაციისა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები და მათი ფიზკულტურული კოლექტივები, რომელთა შორის მოწინავენი არიან თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სპორტკლუბი „სინათლე“, თბილწყალსადენის, № 1 მექანიკური ქარხნის, კინოსტუდია „ქართული ფილმის“, ქუთაისის კეთილმოწყობის სამმართველოს გაერთიანებული, წყალტუბოს კურორტგაჭრობის, წულუკიძის ქალაქის კოოპვაჭრობის, ცხინვალის ქიმიური და საკონსერვო ქარხნების, მახარაძის ავტოსატრანსპორტო კანტორისა და სხვა კოლექტივები.

ითქვა, რომ გარდა „სინათლისა“ საზოგადოების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ საშუალო სპეციალური სასწავლებლების — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სპორტკლუბ „ისინდის“, პოლიტექნიკუმის, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის, თბილისის 1-ლი სამედიცინო სასწავლებლის, ფოთის ჰიდრომელიორაციის, ქუთაისის კოოპერაციული და ავტო, ხოსუმის ინდუსტრიული ტექნიკუმები.

ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას ხელი დიდად შეუწყო საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს შორის გაშლილმა სოცშეჯიბრებამ, რომლის შედეგებსაც რესპუბლიკური საბჭო ყოველწლიურად აჯამებს, — ამბობს მომხსენებელი და ამავე აცსადებს ბოლო შეჯიბრების შედეგების ლაურეატებს: აფხაზეთის საოლქო (თავმჯდომარე შ. დვალაძე), ქუთაისის საქალაქო (ჯ. კვიციანი) და თელავის რაიონულ (ე. დარჩიაშვილი) საბჭოებს, ადგილმრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს (ვ. ყიფიანი), თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმს, „სინათლე“ და „ისინდი“ სპორტკლუბების საკავშირო დათვალიერებაში არიან ჩაბმული.

შემდეგ კორინთელმა ილაპარაკა საწევრო ანარიცხების აკრეფისა და გამოყენების, კადრებთან მუშაობის, სპორტღონისძიებების, ბაზების საკითხებზე. თქვა, რომ „სპარტაკის“ საქართველოს ორგანიზაციებში მომუშავე 260 მუშაკიდან 187 უმაღლესი სპეციალური განათლებითაა. ნაყოფიერად მუშაობს ბევრი სპეციალისტი, მაგალითად, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები შ. ნოზაძე, ნ. აკოფოვი, გ. ბოგდანოვი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები მ. ოსიყმაშვილი, ლ. ქოჩიაშვილი, მწვრთნელები ვ. ლომთათიძე, გ. ცხვედიანი, თ. ტუსაშვილი და სხვები. კოლექტივებში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის ზრუნავენ საზოგადოებრივი კადრებიც. საანგარიშო პერიოდში მათ რიგებს შეემატა 6809 ინსტრუქტორი და მწვრთნელი, 5445 მსაჯი, 5892 კოლექტივის თავმჯდომარე და ფიზორგი. ამჟამად ერთ საზოგადოებრივ ინსტრუქტორზე 10 ფიზკულტურელი მოდის (ადრე 15 მოდიოდა).

საგრძნობლად ამაღლდა საწარმოო და ჰიგიენური ტანვარჯიშის დონე. თუ IV კონფერენციისთვის ეს ღონისძიება 741 ორგანიზაციაში იყო დანერგილი და 78 ათასი კაცი ვარჯიშობდა, ახლა საწარმოო ტანვარჯიშში 906 კოლექტივის 104 ათასამდე კაცი მეცადინეობს. მშრომელთა გაჯანსაღებისთვის განსაკუთრებით ზრუნავენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, მახარაძის, თელავისა და სამტრედიის კოლექტივებში. აფხაზეთში წარმატებას იმით მიაღწიეს, რომ საოლქო საბჭო ყოველწლიურად ატარებს კოლექტივების კონკურსს საწარმოო ტანვარჯიშის უკეთ დაყენებაში.

მომხსენებელმა ილაპარაკა სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე და თქვა, რომ ტურიზმში 13 ათასამდე სპარტაკელია ჩაბმული, ნადირობისა და თევზაობის სექციებში 5 ათასი, საერთო ფიზმომზადების სექციებში კი 8500-ზე მეტი კაცია გაერთიანებული. იგი შეეხო გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობის გამოცდილებას და სხვა საკითხებსაც. როცა სახსწავლო-სპორტულ მუშაობაზე გადავიდა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სპარტაკმა“ საანგარიშო პერიოდში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს 31 სპორტსმენი მისცა: მაგიდის ჩოგბურთელი, სსრ კავშირის ჩემპიონი ს. სარსოიანი, მოჭიდავეები ქვეყნის ჩემპიონები ზ. ბერიაშვილი, დ. გვაცელაძე, მძლეოსნები ა. შჩერბინა და ლ. ივვლევა, მოჭადრაკე ა. ჩაიკოვსკაია და სხვანი.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო ნაკლოვანებების მხილებასაც. ითქვა, რომ ბევრი რაისაბჭო (ადიგენის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, წალკის, წითელწყაროს, დმანისის, მარნეულის, საგარეჯოს) და ფიზკულტურული კოლექტივი (წყალტუბოს საყოფაცხოვრებო სამმართველოს გაერთიანებული, წულუკიძის ავტოსატრანსპორტო კანტორის, ცხინვალის № 1, 2, 3 ავტოსატრანსპორტო კანტორებისა და ლუდის ქარხნის, ქსნის საშენ მასალათა კომბინატის, ბათუმის რძისა და ღვინის ქარხნების, თამბაქოს ფაბრიკის, თბილისის პურეაჭრობის, საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის, რესტორნების ტრესტის) არაფერს აკეთებს ფიზკულტურაში მშრომელთა ჩაბმისთვის. მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ხელმძღვანელობა, რომელმაც ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი გააუქმა. ამ მიზეზით ერთ დროს სსრ კავშირის მასშტაბით მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივი ჩამორჩენილთა რიცხვში მოექცა.

ითქვა, რომ ბევრ კოლექტივში ადგილკომები არღვევენ საწევრო ანარიცხების აკრეფისა და გამოყენების წესს — სპორტული მუშაობისთვის განკუთვნილი სახსრები კულტმასობრივ ღონისძიებებზე იხარჯება.

არის ნაკლოვანებები სპორტის პროპაგანდის, სპორტღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების გამართვის საქმეში. მაგალითად, უსახსრობის გამო წლეულს რესპუბლიკური საბჭოს 17 ღონისძიება ჩაიშალა.

კორინთელმა გააკრიტიკა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭო, რომელიც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებლად გეგმავს სავალდებულო სახეობებს. მაგალითად, საქართველოს 12 ძირითადი სახეობა დაუგეგმეს, ბელორუსიას — 10, თუმცა ბელორუსიაში ფიზკულტურელებიც მეტი ჰყავთ და სახსრებიც მეტი აქვთო.

საზოგადოების სპორტულ ორგანიზაციებს უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდათ, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ სასწავლო-სპორტული მუშაობა ყველგან, ყველა სახეობაში სათანადო დონეზე იდგეს. აფხაზეთის საბჭო ძალზე მცირე შეღავათს აძლევს „სპარტაკის“ რესპუბლიკურ ნაკრებს. წლეულს ვოლგოგრადში გაიმართა საზოგადოების სპარტაკიადა. საქართველოს გუნდების შემადგენლობაში გამოდიოდა აფხაზეთის წარმომადგენელი ძაღოსანი ოფლიდი, რომელიც ჩათვლაშიც ვერ შევიდა, აჭარიდან ნაკრებში მოკრივე ოხიკიანი და მაგიდის ჩოგბურთელი სარსოიანი იყვნენ. სარსოიანს ვერ დავემდურებით, მაგრამ ოხიკიანმა პირველივე ბრძოლა წააგო. გორის და ჭიათურის საქალაქო, სამტრედიისა და წყალტუბოს რაისაბჭოებს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გუნდები არ გამოჰყავთ. რესპუბლიკაში ჩამორჩება კრივი (მწვრთნელი გ. ჯანაშია), ცურვა (ს. ქართველიშვილი), ძაღოსნობა (ყოფილი მწვრთნელი ზ. ყიფშიძე), ტანვარჯიში (შ. ჩაჩხიანი), ტრეკზე და საგზატკეცილო ველორბოლა (კ. ბატიევი და ნ. კაშია). ამიტომაც იყო, რომ საქართველოს სპორტსმენები „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში მე-8 ადგილს დასჯერდნენ.

მომხსენებელმა და აგრეთვე, სარევიზიო კომისიის ანგარიშით გამოსულმა ამ კომისიის თავმჯდომარემ ნ. პირველაშვილმა ილაპარაკეს ფინანსურ საკითხებზე და აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მრეწველობისა და ავტოტრანსპორტის სამინისტროები რესპუბლიკურ საბჭოს დოტაციას დროულად არასოდეს აძლევენ, რომ საწევროს აკრეფაში ჩამორჩებიან მედიცინის, ავტოტრანსპორტის, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების კოლექტივები, ახმეტის, ახალციხის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის ორგანიზაციები.

მოხსენებების შემდეგ დაიწყო კამათი. აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ს. ლობინოვმა თქვა, რომ „სპარტაკის“ აუზს ბათუმში უსახსროების გამო ვერ მოუარეს და ამიტომაც დათანხმდნენ, რომ იგი „განთიადს“ გადაეცემოდა. აჭარის ბევრ კოლექტივში არ ზრუნავენ ფიზკულტურაში ხალხის ჩაბმისთვის. აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. დვალაძემ ილაპარაკა კოლექტივებში ბაზების სიმცირეზე, სექციების უხეირო მუშაობაზე, თქვა, რომ აფხაზეთის 465 კოლექტივს არავითარი ბაზა არ აქვს. სოხუმის ერთადერთი დარბაზი 14 წელია არ შეკეთებულა და ინვენტარით არ შევსებულა. ბევრგან არ ჰყავთ ინსტრუქტორი. მან სურვილი გამოთქვა, კარგი იქნებოდა რესპუბლიკური საბჭოს წამყვანი მწვრთნელები სანდახან მაინც ჩამოდიოდნენ დახმარების გასაწევადო.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბესტაევმა აღიარა, რომ შესაფერი ბაზების უქონლობის გამო ზამთარში ყველგან წყდება მუშაობა.

ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. კვიციანმა რესპუბლიკურ საბჭოს უსაყვედურა, რომ სპორტთამაშებში და ჭიდაობაში ტურნირები არ იმართება.

საკუთარი კოლექტივის ქებით შემოიფარგლა სპორტკლუბ „სინათლის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. მირზოევი. მან რატომღაც არაფერი თქვა იმაზე, რომ საჭიდაო დარბაზში ყველაფერი წესრიგში არაა, რომ სპორტსმენებს ხშირად არა აქვთ შხაპი.

მძლეოსანთა მწვრთნელის, სპორტის ოსტატ ე. ლომთათიძის გამოსვლაში იგრძნობოდა გულისტკივილი პერიფერიებში „სპორტის დედოფლის“ განვითარებისთვის უზრუნველობის გამო. მან თქვა, რომ რესპუბლიკის ნაკრების სახელით ფაქტიურად ქალაქის ნაკრები გამოდის ხოლმე და მაშინაც გუნდში უმეტესად „სინათლის“, „ისინდისა“ და პოლიტექნიკუმის სპორტსმენები შედიან. ლომთათიძემ გააკრიტიკა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭო.

მართალი იყო მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. ყარალაშვილი, როცა თქვა, რომ ტექნიკუმის სპორტკლუბის საქმიანობით არავინ ინტერესდება, ბაზები კი არ გვაქვსო. მან დასძინა, სამინისტროს ზამორის ბაზების აგება რომ ვთხოვეთ, პროფკავშირებზე მიგვითითა, პროფკავშირებმა სამინისტროში გაგვგზავნესო.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ მ. შმაშინმა. შემდეგ მიიღეს ღონისძიება და მოეწყო არჩევნები.

კონფერენციამ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ა. კორინთელი, მოადგილედ — ნ. რობაძიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ნ. პირველაშვილი,



ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ პარაშუტისტები მხოლოდ დიდი სიმაღლიდან ხტებიან. დიდხანს შეიძლება თვალი ადევნო მათ ფრენას ნაირფერ გუმბათებს ქვეშ. მაგრამ ოდესის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გამოცდილი სპორტსმენები მამაცური ნახტომებით გვარწმუნებენ, რომ წვრთნა თვითმფრინავის დახმარების გარეშეც შეიძლება.

ს ურ ა თ ზ ე: ერთ-ერთი გამოცდილი სპორტსმენი საწვრთნელ ვარჯიშს ასრულებს მანქანის მეშვეობით.

ანგარიშგება - არჩევნები

„კოლმეურნის“ რაიონული...

წითელწყარო

„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა პ. პატატიშვილი, რომელმაც დელეგატებს გააცნო საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში მონაწილე დელეგატებმა ა. ჯავახიშვილმა, ა. მგელაძემ, შ. ბენაშვილმა, დ. გოგაშვილმა, გ. ყოჩიაშვილმა, ნ. კობაიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ რაიონის სოფლებში სპორტული ბაზების მშენებლობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგემ მ. პოპიაშვილმა.

„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ პ. პატატიშვილი აირჩიეს.

გ. კაკალაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში

ამ დღეებში ჩატარდა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ა. უჩახელიშვილი, რომელმაც ილაპარაკა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონეზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს ლუსპარიანმა, რ. ხასაიამ, ე. შალგუამ, დ. ხორავამ და სხვ.

არჩეულ იქნა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს ახალი შემადგენლობა. საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს უჩახელიშვილი.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

ლამუკანგელი...

ქუთაისში გაიმართა „შრომითი რეზერვების“ დამფუძნებელი საქალაქო კონფერენცია. კონფერენციაზე არჩეულ იქნა საზოგადოების საქალაქო საბჭო და მისი პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ქუთაისის 33-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი გ. მაჩიტიძე.

ნ. ბეროშვილი.
„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

კარგად მუშაობენ

სოფელ გორაბერეჟოულის ჭ. ბენდელიანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში (დირექტორი — საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირი გ. ანთიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. კუტალაძე) კარგი პირობებია შექმნილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვისთვის. ფიზკულტურული კოლექტივი ამას კარგად იყენებს. მაგალითად, წლეულს მშთ კომბლექსის ნორმატივი 92 ფიზკულტურელმა ჩაბარა, მომზადდა 17 მეორეთანრიგოსანი და 35 მესამეთანრიგოსანი.

ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივი კადრების მომზადებასაც. ამ ბოლო ხანს მომზადდა 30 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 73 მსაჯი და სხვ.

სტუდენტთა ძალებით კეთილმოეწყო სპორტული ბაზები. ფიზკულტურელების განკარგულებაშია ფეხბურთის მინდორი, სპორტთამაშების კომპლექსური მოედანი, დარბაზი, საჭიდაო სარბელი, ტირი, ძაღოსნობის, ჭადრაკისა და შაშის ოთახები.

დ. გურგენიძე.
(ჩვენი კორ.).
ჩოხატაურის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

რასაც ტაქტიკა მოითხოვს

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (რიგა) 86:69 (39:33).

„ბურევესტნიკი“: ლომაძე (20), ბიჭიაშვილი (17), კოვალენკო (15), გლურჯიძე (12), ლეჟავა (6), მანაგაძე (4), მაისურაძე (4), ჯუღელი (2), ჩხიკვაძე (2), არუთინოვი (2), პულავსკი (2).

ასკ: ფრეიმანისი (15), სტრელისი (10), ზეიდაკსი (10), ბირზნიეკსი (8), ეგლიტისი (7), ლეგზდინში (6), გ. მიუნნიეკსი (4), დავიდი (4), ზაბელო (3), იახუნსი (2).

მსაჯები: ფ. კერზონი (მოსკოვი) და ს. კოპიტოვი (კიევი).

კალათბურთში არსებობს ერთი ძველისძველი ჭეშმარიტება — „მიეცი თამაშის საშუალება იმას, ვისაც გამოსდის“. იგი წარმატების ყველაზე ლოგიკური პირობაა, რომელიც, ამავე დროს, სრულებით არ გამორიცხავს კოლექტივიზმის პრინციპებს.

„ბურევესტნიკმა“ რიგის არმიელებთან შეხვედრაში მთელი 20 წუთი გამარჯვების გზის პოვნას მოანდომა. რა არ სცადეს, რა არ მოსინჯეს მანამ, სანამ არ მიაგნეს წარმატების ერთადერთ და უმოკლეს გზას. ამისთვის მათ უარიც კი თქვეს იმ ნაცად ხერხზე, რომელსაც გუნდისთვის არა ერთი და ორი ლამაზი გამარჯვება მოუტანია.

დიახ, „ბურევესტნიკს“ ამ დღეს ბოლომდე არ გამოუყენებია თავისი ბასრი იარაღი — კოვალენკო. არ გამოუყენებია იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა ბრძოლის წარმოების ერთადერთი, სწორი მეთოდი: მიეცი თამაშის საშუალება იმას, ვინც უკვე თამაშობს კარგად, სასარგებლოდ, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ.

მასპინძლებმა პირველსავე ნახევარში შენიშნეს, რომ ლომაძემ „გემო გაუგო“ მეტოქის კალათს, ბიჭიაშვილი კი აშკარად სჩაგრავდა თავის მეურვეს, და თანდათან ბრძოლის სადავეები გადასცეს მათ. რიგელებისთვის უცხო და მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ კოვალენკომ დროებით მეორე პლანზე გადაინაცვლა, ხოლო მისი ადგილი თავდაცვის წინა ხაზზე ბიჭიაშვილმა ჩაიბარა. ეს იყო სწორი და ეფექტური მანევრი, რომელმაც მოქმედების სფერო გაუნთავისუფლა ლომაძეს.

რიგის გუნდმა მდგომარეობის გამოსწორება სცადა ძველი, ნაცადი ხერხით — მაღალი ტანის ეგლიტისის ფარქვეშ მაქსიმალური გამოყენებით, მაგრამ იმავ წამს მის განზრახვას წინ აღუდგა კოვალენკო, რომელიც ასეთი როლის, თუ შეიძლება ითქვას, იდეალური შემსრულებელია. ეგლიტისმა მხოლოდ რამდენიმეჯერ გაიბრძოლა აზარტულად, ერთით, მერე კი ჩამოშორდა კალათს, მოედნის სიღრმეში გადაინაცვლა და პასიური პოზიცია აირჩია მანამ, სანამ მწვრთნელმა იგი მოედნიდან არ გაიყვანა.

„ბურევესტნიკმა“ მოიგო შეხვედრა ლამაზად, ეფექტურად, დიდი უპირატესობით. და კიდევ, სასიამოვნო ის იყო, რომ ამ გამარჯვებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ყველამ, გუნდის ვეტერანებმაც და ახალგაზრდებმაც. „ბურევესტნიკს“ ხშირად არა აქვს რეზერვის გამოცდის საშუალება და კარგია, რომ იგი არ უშვებს საამისოდ ყოველ ხელსაყრელ მომენტს.

ნ. გუგუშვილი.

* * *



სურათზე: ს. კოვალენკო თამაშის დროს.

ფოტო ა. საკოვისა.

ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ᲢᲐᲠᲢᲣ. სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს, მოსკოვის ცსკა-ს სიხარული ვერც განმეორებითმა მატჩმა მოუტანა: რევანშის სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა. ესტონელმა კალათბურთელებმა, ისევე როგორც პირველ მატჩში, მრისხანე მეტოქე დაჩაგრეს თავდასხმაშიც, დაცვაშიც და მას ზედიზედ მეორე მარცხი აგემეს — 61:70.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. ადგილობრივი „სტროიტელისა“ და ასკ-ს შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. მაგრამ „სტროიტელმა“ ამჯერად ტრადიცია დაარღვია და ბოლო წლების დამარცხებათა რევანში აიღო — 61:52.

ᲙᲘᲔᲕᲘ. ადგილობრივი „სტროიტელისა“ და ასკ-ს შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. მაგრამ „სტროიტელმა“ ამჯერად ტრადიცია დაარღვია და ბოლო წლების დამარცხებათა რევანში აიღო — 61:52.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 28 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ᲪᲡᲙᲐ	8	6	2	604—556	6
„ᲨᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ“ (კაუნასი)	8	6	2	590—547	6
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ლენინგრადი)	8	6	2	572—530	6
„ᲡᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚᲘ“ (კიევი)	9	6	3	610—580	6
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი)	8	6	2	588—569	6
ᲐᲡᲙ (კიევი)	9	5	4	576—571	5
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ (თბილისი)	10	5	5	649—657	5
ᲕᲤᲒ (რიგა)	8	3	5	538—527	3
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მოსკოვი)	8	3	5	520—511	3
„ᲙᲐᲚᲗᲘᲡᲘ“ (ტარტუ)	8	3	5	570—604	3
ᲐᲡᲙ (რიგა)	10	1	9	675—752	1
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (ალმა-ათა)	8	1	7	575—663	1

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲚ

გაიმართა კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის შეხვედრები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ლენინგრადის „სპარტაკმა“ მოუგო კიევის „დინამოს“ — 66:56, მოსკოვის „დინამომ“ — ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ 60:57, მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“ — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს 53:45.

ᲜᲝᲕᲝᲡᲘᲑᲘᲠᲡᲙᲘᲡ ჯგუფში შეხვედრები ასე დამთავრდა: უსკ (ტარტუ) — სკა (ლენინგრადი) 69:56, ტტტ (რიგა) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 69:48, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) 77:70.

ᲥᲣᲨᲘᲠᲜ...

გაიმართა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. გამარჯვება ამჯერადაც მასპინძლებს ხვდათ წილად — 72:64 (38:35).

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ „ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ“

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ შემოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერენ თბილისის 53-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები გ. აბდუშელიშვილი, დ. ზარიძე, დ. ერისთავი, თ. თოფურიძე, ს. ჩიხლაძე, გ. ხეჩინაშვილი, ბ. ფალავანდიშვილი და სხვ.

აი, რას გვთხოვენ სპორტის ნორჩი მოყვარულნი: „თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, მიძღვნილი სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. გალპერინის დაბადების 70 წლისთავისადმი. იქ ლაპარაკი იყო თბილისის ახალგაზრდული გუნდის — „მოლოტის“ მიერ საკავშირო თასის მობოვებაზე. გთხოვთ დაწვრილებით გვაცნობოთ ამ გუნდისა და თასის მოგების ისტორია“.

„ლელოს“ კორესპონდენტმა განმარტებისთვის, პირველ ყოვლისა, მიმართა თვით ამ გუნდის ჩამომყალიბებელსა და მწვრთნელს ა. გალპერინს. ვეტერანმა გაიხსენა ომამდელი, კერძოდ, 1937 წლის ამბები.

„თბილისელ ბავშვებს მაშინ ძალიან უყვარდათ ფეხბურთი. ეს „ძალიან“ იმაში გამოიხატებოდა, რომ თუ კი სადმე იყო უშენი ადგილები, სკოლისა თუ საცხოვრებელი სახლების ეზოები, მიყრუებული ქუჩები, დილიდან დაღამებამდე გაისმოდა ბურთის მოთამაშეთა ხმაური. ბავშვთა ეს დიდი მახა ფაქტიურად არაორგანიზებული იყო და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მათგან საუკეთესოთა შერჩევა, რეგულარულად მომეცადინე ჯგუფებში გაერთიანება, მით უმეტეს, რომ სწორედ მაშინ გამოვიდა დიდ ხაფეხბურთო სარბიელზე, თანაც, არნახული ეფექტით, თბილისის „დინამო“.

ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა, რომლის ხელმძღვანელობა მე დამევალა.

რა თქმა უნდა, უკვე ვიცოდი თბილისის რომელ რაიონში უფრო გავრცელებული იყო ბავშვებში ფეხბურთი, ვინ უკეთ თამაშობდა, ვის მეტი პერსპექტივა ჰქონდა. დავიარე უბნები, ქუჩები, ეზოები და ბიჭები დავიბარე ლენინის სახელობის სტადიონზე.

მოვიდნენ. ჩავაყენე მწკრივში, გადავხედე. ყველა ანთებული თვალებით შემომცქერის, ყველას თამაში სწყურია. მაგრამ როგორ გინდა მოაწესრიგო გუნდებად დაყოფის საქმე, სიძლიერის მიხედვით გაანაწილო დაახლოებით 80 ბავშვი? ასეთ გამოსავალს მივაგენი: ფეხბურთელებს ვუთხარი თვითონ, საკუთარი შეხედულების მიხედვით განაწილებულიყვნენ ოთხ ჯგუფად, მე კი ათითოლე წუთით დავტოვე მინდორი. როცა უკან დავბრუნდი, 4 გუნდი სრულ წესრიგში, განცალკევებით ჩამწკრივებულიყო და მწვრთნელის განკარგულებას უცდიდა. ბავშვებმა ამ რამდენიმე წუთში გაიკეთეს ის, რისთვისაც მე აუარებელი დრო უნდა დამეკარგა: ოთხივე გუნდი სიძლიერის მიხედვით იყო შედგენილი, ხოლო ყველაზე პატარები ცალკე ჯგუფად იდგნენ.

შევუდექით ვარჯიშს. საოცრად მონდომებული, ენთუზიასტი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ. საკმარისი იყო ორიოდე სიტყვის თქმა და ყველანი გულმოდგინედ ასრულებდნენ დავალებას. თვითეულ გუნდს ჰქონდა თავისი ფორმა, სახელწოდება, ვიმპელი. მე ხშირად მიხდებოდა სიარული მოთამაშეთა სკოლებში, ოჯახებში და, როგორც წესი, იქ მუდამ კარგ ამბებს მახვედრებდნენ. საგანგებო ყურადღებას ვაქცევდი ბავშვების თვითმოქმედებასა და ინიციატივას. ამ მხრივ მათ შეზღუდვა არა ჰქონდათ. ნორჩი ფეხბურთელები თვითონ ანაწილებდნენ სპორტულ ფორმას, ინვენტარს, თვითონ ადგენდნენ გუნდებს და მე მხოლოდ კორექტივები შემქონდა მათში. ყველაფერი აგებული იყო მეგობრობაზე და ურთიერთნდობაზე.

ჩვენს სპორტსკოლაში უძლიერესი იყო „მოლოტი“ და სწორედ ამ გუნდმა მოიპოვა 1937 წელს საკავშირო თასი. თუ გნებავთ, გავიხსენებ „მოლოტის“ მაშინდელ შემადგენლობას: გ. ჯაიანი, შ. აბაიშვილი, ს. ერქომაიშვილი, ო. ონიკაძე, ი. ქართველიშვილი, ა. დიაჩენკო, ი. დოლიძე, კ. ლოგინოვი, კ. უსტიმენკო, ი. შუდრა, ლ. ნარიმანიძე, გ. ნიკურაძე, ო. კიკაჩეიშვილი, შ. თათარაშვილი, კ. გელოვანი, ა. კობაიძე, კ. ჩოგოვაძე, ა. ვერმიშევი, ვ. სირაძე, ა. ზაუტაშვილი, ვ. ჩეპელევი და სხვანი“.

კონკრეტულად იმ შეჯიბრებაზე, სადაც „მოლოტმა“ I ადგილი დაიკავა, ვესაუბრეთ გუნდის მაშინდელ წევრს ი. შუდრას. აი, მისი ნაამბობი:

„1937 წლის საკავშირო პირველობა ნორჩ ფეხბურთელთა შორის საკმაოდ რთული სისტემით მიმდინარეობდა. ჯერ იყო საქალაქო შეჯიბრებები, მერე — ზონალური. ამ ზონალურ შეჯიბრებებში გამოდიოდა 6.000 გუნდი.

ფინალური ტურნირი მოეწყო მოსკოვში, რომლის მონაწილე იყო 8 უძლიერესი კოლექტივი. ჩვენ შეჯიბრება დავიწყეთ იმით, რომ ანგარიშით 8:0 მოვუგეთ ტაშკენტის გუნდს და ამ მატჩში 6 გოლი გაიტანა ჩვენი გუნდის ჩინებულმა ცენტრფორვარდმა, აწ გარდაცვლილმა ა. დიაჩენკომ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობდა სოხუმის გუნდიც, რომელმაც მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაუთმო მატჩი მოსკოვის ნორჩ პიონერთა სტადიონის კოლექტივს მინიმალური ანგარიშით — 0:1. სოხუმელთა რიგებში თამაშობდა შემდგომში გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე.

პირველი წრის შემდეგ გადამწყვეტ ეტაპს შემორჩა 4 გუნდი: თბილისის „მოლოტი“ და მოსკოვის 2 კოლექტივი — „სპარტაკი“ და ნორჩ პიონერთა სტადიონის გუნდი, აგრეთვე, პოდოლსკის ნაკრები.

ჩვენ შევხვდით პოდოლსკის გუნდს და საკმაოდ იოლად გავიმარჯვეთ — 3:0. „სპარტაკმა“ მოუგო ნორჩ პიონერთა სტადიონის კოლექტივს— 1:0.

გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიმარჯვეთ. სპარტაკელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა პოდოლსკთან (0:0) და ზუსტად ასევე დახრულდა ჩვენი თამაში ნორჩ პიონერთა სტადიონის გუნდთან.

ფინალში გავიდნენ თბილისის „მოლოტი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. ჩვენი საერთო შემადგენლობა თქვენ იცით, ხოლო სპარტაკელთა შესახებ გეტყვით, რომ იქ თამაშობდნენ შემდგომში სახელმოხვეჭილი ფეხბურთელები დიომინი, ტიმაკოვი, პეტროვი, ეპიანი, გამილტონი და სხვანი.

პირველ შეხვედრას შედეგი არ მოუტანია — 0:0. განმეორებით მატჩში, რომელიც 1937 წლის 1 სექტემბერს შედგა, გავიმარჯვეთ ჩვენ ანგარიშით 2:1, ამასთან, თბილისის „მოლოტის“ ორივე გოლის ავტორი იყო დიაჩენკო.

საკავშირო პრესა ფართოდ გამოეხმაურა „მოლოტის“ ამ წარმატებას, ყველა გაზეთში იბეჭდებოდა შეჯიბრების ამსახველი წერილები და ჩვენი გუნდის სურათები“.

აი, ასე გაიმარჯვა თბილისის „მოლოტმა“ ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში 1937 წელს.

საქმე ფლენსბურგელი ვუნდერკინდისა

ფლენსბურგის საჭადრაკო კლუბი „კიონინგი“ თვეების მანძილზე ხოტბას ასხამდა 7 წლის იუტა ჰემპელს, როგორც ვუნდერკინდს.

იუტამ — ფლენსბურგში (გფრ) ცნობილი მოჭადრაკის, ქალაქის უოფილი ჩემპიონის, ვაჭარ გ. ჰემპელის ქალიშვილმა პირველად 1966 წელს ითამაშა საჭადრაკო ტურნირში. მას შემდეგ გოგონას ქებას საზღვარი აღარ ჰქონდა. პატარა ჰემპელი სამჯერ უჩვენეს ყოველკვირეულ კინომიმოხილვაში. ხალხი საგანგებოდ ჩადიოდა ფლენსბურგში იუტას თამაშის საყურებლად.

„კლუბ „კიონინგის“ მესვეურებს, — წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი“, — ჭკუაში დაუჯდათ ვუნდერკინდის ირგვლივ ატეხილი ხმაური. იუტას დიდების ხხვევებში ხომ საჭადრაკო კლუბიც ნებივრობდა. ხალხისთვის იუტა ატრაქციონი იყო“.

მაგრამ აქ მოხდა სკანდალი. იუტას მამამ და კლუბის ადმინისტრატორებმა, როგორც ჩანს, ვერ გაინაწილეს დიდება და შემოსავალი. ჰემპელმა ბავშვს კლუბის სახელით თამაში აუკრძალა, „კიონინგის“ მესვეურებმა კი გამოააშკარავეს ვუნდერკინდი: გამოაცხადეს, რომ გოგონა წინასწარ შესწავლილ სვლებს აკეთებდა და შამაშისის კარნახით ატყუებდა საზოგადოებას. ახლა კლუბმა საჩივარი შეიტანა ჰემპელზე — „სიცრუისთვის“, ჰემპელმა კი კლუბს უჩივლა „ცილისწამებისთვის“. საქმე ფლენსბურგელი ვუნდერკინდისა ჯერ მხოლოდ დაიწყო.

პატარა იუტა დიდი ქალივით ამბობს: „ამ ჭადრაკს მხოლოდ უსიამოვნება მოაქვს. ავდგები და მარტო თოჯინებით ვითამაშებ“.



ყოველი მხრიდან

ქუჩის ჯაგების საკვანძო

რატომ ჩაიშალა იუბილე?

ერთ-ერთმა მსხვილმა ამერიკულმა სპორტულმა კლუბმა „ნიუ-იორკერ ათლეტიკ კლაბმა“ მეხიკოს თამაშებამდე დიდი ხნით ადრე გამოაცხადა, რომ 1969 წლის დამდეგს თავისი დაარსებიდან 100 წლისთავს იზეიმებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებრივ ყოველწლიურ იუბილეს კლუბის ადმინისტრაცია მუდამ დიდის ამბით აღნიშნავდა — აწყობდა საერთაშორისო შეჯიბრებებს ქვეყნის მოწინავე სპორტსმენთა მონაწილეობით, რასაკვირველია, მომავალი ზეიმი მართლაც უჩვეულო უნდა ყოფილიყო.

უნდა ყოფილიყო... მაგრამ ამ დღეებში ამერიკულ პრესაში გამოჩნდა ერთი შეხედვით ცოტა უცნაური ცნობა. „ნიუ-იორკერ ათლეტიკ კლაბი“, — წერდნენ ჟურნალისტები, ამ იუბილეს ალბათ მხოლოდ თავისი წევრებისთვის გამართული მოკრძალებული ბანკეტით აღნიშნავს“.

რამ აიძულა კლუბის ადმინისტრაცია ასე მოქცეულიყო? ამ შეკითხვას პასუხი რომ გავცეთ, ჯერ თვით გაერთიანებასა და მის ტრადიციებზე უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. კლუბი ჩამოყალიბდა, როგორც „ამერიკის თეთრკანიან მოქალაქეთა სპორტული კავშირი“ და დღემდე რჩება რასიზმის ბურჯად.

რაღა გასაკვირია, რომ კლუბის 90-ე იუბილეს დღეებში ზანგმა ათლეტებმა სპორტში რასიზმის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს „მედისონ სკვერ-გარდენის“ შენობასთან, სადაც ჩვეულებრივ ტარდებოდა ტრადიციული საიუბილეო შეჯიბრება.

დღეს, როცა ოლიმპიადაზე გამართული მანიფესტაციის შემდეგ განსაკუთრებით გამწვავდა ამერიკის შეერთებული შტატების ზანგ სპორტსმენთა ბრძოლა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რასისტული კლუბის მესვეურებმა იფიქრეს, ზეიმი ჩაგვეშლებაო. მექსიკის ოლიმპიადის პრეზიორმა, ზანგმა ჯონ კარლოსმა აშკარად განაცხადა:

„ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ თეთრკანიანთა კლუბის იუბილეში არა იმიტომ, რომ ვასახელოთ იგი, არამედ იმ მიზნით, რომ მთელი ნიუ-იორკის წინაშე აღვმართოთ მუშტებად შეკრული ხელები რასიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად“.

კარლოსს შეუერთდნენ მექსიკის ოლიმპიადის გმირები სმითი, ევანსი, მეტიუზი, ფრიმენი, ჯეიმსი და სხვა მოწინავე ზანგი სპორტსმენები. მაშინ პოლიციის წარმომადგენლებმა კლუბის ადმინისტრაციას განუცხადეს, ზეიმის წესრიგისთვის პასუხს ვერ ვაგებთო. „ნიუ-იორკერ ათლეტიკ კლაბის“ წარმომადგენლებმა სწორედ ამიტომ უარყვეს თავიანთი გადაწყვეტილება.

ძაღლები ფეხბურთელების წინააღმდეგ

ინგლისიდან მოვიდა ცნობა: ადგილობრივი საფეხბურთო ლიგა ყიდულობს... ძაღლებს. ძაღლებს ეყოლებათ საგანგებოდ მიჩენილი მწვრთნელები, შემდეგ კი მათ ფეხბურთის მინდვრებზე გამოიყვანენ მოჩხუბარ მოთამაშეთა წინააღმდეგ. შეიძლება ეს ხუმრობა იყოს, მაგრამ ეს ამბავი „ზეთების“ ფურცლებზე შემთხვევით არ მოხვედრილა. ინგლისში, რომელიც ჯენტლმენური ფეხბურთის სამშობლოდ ითვლება, მატჩები სულ უფრო ხშირად იქცევა ხოლმე მოჩხუბართა ასპარეზად. ამასთან, ფეხბურთელებზე არ მოქმედებს არავითარი ჯარიმა, არავითარი დისკვალიფიკაცია. რა არის ამგვარი მდგომარეობის მიზეზი? ამ შეკითხვაზე პასუხს იძლევა ძალზე კომპეტენტური კაცი — ინგლისის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი ლენ შიპმენი.

„ბოლო ხანს ფეხბურთის მინდვრებზე მომხდარი სამარცხვინო სკანდალური ამბების შედეგად, — ამბობს შიპმენი, — ფეხბურთი სულ უფრო საზიზღარი ხდება. ავიღოთ მაგალითად ბოლო მატჩი თასზე „არსენალსა“ და „ტოტენჰემს“ შორის. ეს იყო ხელჩართული ომი, სრული ან სიტყვის მნიშვნელობით. ბურთი უკვე აღარავის აინტერესებდა, თვითეული მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეს ხედავდა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ ფეხბურთელებს შორის იყვნენ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრებიც, რომლებიც მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ თავიანთი კოლეგებისთვის.

თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ფეხბურთი, როგორც დიდებული სპორტი, მოისპობა. ამასთან, ჩხუბში მარტო ფეხბურთელებს როდი ვდებ ბრალს. ჩემი აზრით, მთავარი დამნაშავე ფულია. როცა სპორტსმენები გამარჯვებისთვის 200-დან 300 გირვანქა სტერლინგამდე იღებენ, ამ ფულის გულისთვის საკუთარ ჯანმრთელობასაც ივიწყებენ და სხვისასაც. ისინი არაფერს ერიდებიან, ოღონდ მეტოქეს პრემია გამოგლიჯონ“.

ინგლისურ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობიდ მარტო შიპმენი როდია შეწუხებული. ამ დღეებში ლეიბორისტული პარტიის დეპუტატმა ა. დევიდსონმა შეკითხვა გაუგზავნა სპორტის მინისტრს დ. პოუელს. დეპუტატს აინტერესებდა, რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა ინგლისური ფეხბურთის გაჯანსაღებისთვის. თავის მხრივ მან შეიტანა წინადადება შეიქმნას დამოუკიდებელი კომპეტენტური კომიტეტი, რომელსაც უფლება ექნება მკაცრად დასაჯოს მოთამაშეები და კლუბები.

დეპუტატის შეკითხვის პასუხად მინისტრმა განაცხადა, რომ მზადაა განიხილოს ეს და სხვა წინადადება ინგლისის ფეხბურთის ლიგის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან ერთად.



ჰაერშია „აკრობატი“

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრ ქალაქში შექმნილია საფრენოსნო კლუბები, სადაც საავიაციო სპორტის მრავალი მოყვარულია ჩაბმული.

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის სიებში გდრ-ის უმაღლესი პილოტაჟის ოსტატებს მუდამ საპატიო ადგილი ეკავათ — ჩამორჩებოდნენ მხოლოდ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ მფრინავებს. გერმანელი სპორტსმენები გამუდმებით სრულყოფენ ოსტატობას. მაგალითად, მაგდებურგის კლუბში ყოველი მფრინავი ყოველდღიური ვარჯიშის დროს ახრულებს იმავე დავალებას, რაც სპორტსმენებს მსოფლიო ჩემპიონატებში ეძლევათ. გდრ-ის ეროვნული გუნდი უმაღლეს პილოტაჟში ვარჯიშობს და გამოდის ჩეხოსლოვაკიური თვითმფრინავებით „ც-526-ა“. საუცხოო მანევრულობისთვის ამ მანქანას „აკრობატი“ დაარქვეს.

„პანორამას“ (გდრ) საგენტოს ხურათზე აღბეჭდილია „აკრობატი“, რომელსაც მაგდებურგელი სპორტსმენი მართავს.

„ოქროს ბურთი“ — ჯორჯ ბესტს

როგორც ვიუწყებოდით, „ფრანს-ფუტბოლის“ ანკეტამ“ 1968 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ევროპაში აღიარა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე ჯორჯ ბესტი.

რამდენიმე სიტყვა ჯორჯ ბესტზე. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფეხბურთელია. ძნელი წარმოსადგენია ის ტემპერამენტი, ის ძალისვარება, რომელსაც ჯ. ბესტი აქსოვს თვითეულ თამაშს, თავის ყოველ გამოსვლას მინდორზე.

მსოფლიო ჩემპიონის — ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ა. რამსეიმ ამას წინათ თქვა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ბესტი ჩრდილოეთ ირლანდიაშია დაბადებული და უფლება არა მაქვს გამოვიყენოთ იგი ინგლისის გუნდში“.

ეს ასეცაა: მართალია, ჯ. ბესტი ინგლისში თამაშობს და დიდი როლი შეასრულა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შარშანდელ წარმატებაში, როცა ამ გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა, მაგრამ ინგლისის ნაკრებში ვერ გამოვა, ვინაიდან წარმოშობით ირლანდიელია. თუ გავიხსენებთ, რომ ჩრდილოეთ ირლანდია საბჭოთა კავშირთან და თურქეთთან ერთად იმყოფება მსოფლიო ჩემპიონატის ერთ შესარჩევ ჯგუფში, ცხადი გახდება, რომ ჯ. ბესტს ჩვენი ნაკრების წინააღმდეგაც მოუწევს თამაში და, ალბათ, გაისად მოსკოვშიც ვნახავთ შესარჩევ მატჩში.

საინტერესოა, რომ ჯ. ბესტი შარშან ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად იყო აღიარებული, ხოლო „ოქროს ბურთის“ კონკურსზე მე-8 ადგილი დაიკავა.

სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ „ფრანს-ფუტბოლის“ ყველა ლაურეატის სიას.

1956 წ. ს. მეტიუზი, თავდამსხმელი, ინგლისი.
1957 წ. ა. დი სტეფანო, თავდამსხმელი, ესპანეთი.
1958 წ. რ. კოპა, თავდამსხმელი, საფრანგეთი.
1959 წ. ა. დი სტეფანო, თავდამსხმელი, ესპანეთი.
1960 წ. ლ. სუარესი, თავდამსხმელი, ესპანეთი-იტალია.
1961 წ. ო. სივორი, თავდამსხმელი, იტალია.
1962 წ. ი. მასკოპუსტი, ნახევარმცველი, ჩეხოსლოვაკია.
1963 წ. ლ. იაშინი, მეკარე, სსრ კავშირი.
1964 წ. დ. ლოუ, თავდამსხმელი, შოტლანდია-ინგლისი.
1965 წ. ეუსებიო, თავდამსხმელი, პორტუგალია,
1966 წ. რ. ჩარლტონი, ნახევარმცველი, ინგლისი.
1967 წ. ფ. ალბერტი, თავდამსხმელი, უნგრეთი.
1968 წ. ჯ. ბესტი, თავდამსხმელი, ჩრ. ირლანდია-ინგლისი.

* * *

სურათზე გ. ბესტი თამაშის დროს.

„ინტერ დე პარი“

ფრანგული ფეხბურთის მესვეურებს დიდად აწუხებთ პარიზის კლუბებს კრიზისი. ეს გუნდები („რესინგი“, „სტად ფრანსე“, „რედ სტარი“) მრავალი წელია ძლივს უმკლავდებიან პროვინციულ კლუბებს, ერთობ მოკრძალებულ ადგილებს სჯერდებიან ეროვნულ ჩემპიონატში და ზოგიერთმა მათგანმა არსებობაც კი შეწყვიტა.

„ნუთუ საფრანგეთის დედაქალაქს არ უნდა ჰყოლდეს გვარიანი გუნდი?“ — ამ კითხვას ხშირად სვამენ ფრანგი მიმომხილველები. ახლა უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები და პარიზში შეიქმნა ახალი კლუბი „ინტერ დე პარი“, რომელსაც მიზნად დაუსახეს წამყვანი მდგომარეობა დაიჭიროს საფრანგეთში და ჩადგეს პირველხარისხოვან გუნდებს შორის.

ამ ახალ კლუბს უპატრონებს პარიზის მუნიციპალიტეტი, რომელიც თანახმაა სათანადო თანხები გაიღოს საუკეთესო მოთამაშეებისა და მწვრთნელების მოსაწვევად.

„ლა პლატას ლიგა“

არგენტინისა და ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ ახალი საერთაშორისო ტურნირის მოწყობაზე. ამ შეჯიბრებას „ლა პლატას ლიგა“ ეწოდება. მასში ითამაშებენ „რივერ პლატა“, „ბოკა ხუნიორსი“, „ინდეპენდიენტე“, „რესინგი“, „სან ლორენცო“, „ესტუდიანტესი“ (ყველა — არგენტინა), „ნასიონალი“, „პენიაროლი“, „ცერო“ და „დეფენსორი“ (ოთხივე — ურუგვაი).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.